

ყოველწლიური ანგარიში

2021

ჩვენს შესახებ 04

ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართვა 05

კანონის უზენაესობის პროგრამა 08

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება 8

ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება 9

მართლმსაჯულების სისტემური რეფორმის ადვოკატირება 10

კვლევები და ანგარიშები 10

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა 12

სტრატეგიული სამართალწარმოება და წარმატებული საქმეები 12

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება . 17

თანასწორობის საკითხების ადვოკატირება 19

სამოქალაქო განათლების პროგრამა 23

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა 25

ორგანიზაციული განვითარება 26

ტრენინგები 26

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 26

სტაჟირება 27

ორგანიზაციის ფინანსები 29

კოალიციების წევრობა:



დონორები:

ჩვენს შესახებ

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს. ორგანიზაციის მიზანია:

- *ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრება;*
- *საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების გზით;*
- *ხელისუფლების ფორმირების ხელშეწყობა პირდაპირი და მონაწილეობითი მმართველობის გზით;*
- *დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა;*
- *სამართლიანი, თანასწორი, ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;*
- *ხელისუფლების შტოების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.*

მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს: ა) ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და მათ დაცვაზე ზედამხედველობა; ბ) ინკლუზიური საზოგადოებისა და ტოლერანტული გარემოს წახალისება; გ) დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება; დ) საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და ტრანსპარენტულობის ხელშეწყობა. GDI ამ მიზნებს ემსახურება მონიტორინგის, საჯარო დებატების, ფაქტებზე დაფუძნებული კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის მეშვეობით.

ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ძირითად სფეროებში აერთიანებს კვლევის, ადვოკატირებისა და მონიტორინგის დიდი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს. გუნდის წევრთა ექსპერტული პოტენციალი, გამოცდილება, მიუკერძოებლობა და სანდოობა განაპირობებს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წამყვან როლს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული განვითარების პოლიტიკის შესახებ დისკურსში.

ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა ან რომელიმე დამფუძნებელი წევრი. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელსაც 2021 წლის იანვრიდან თავმჯდომარეობს ედუარდ მარიკაშვილი.

ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს ხუთი ძირითადი მიმართულებით:

კანონის უზენაესობა

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვა

სამოქალაქო განათლება

ლიბერალურ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება

სტრატეგიული სამართალწარმოება

ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართვა

საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს. რელიგიურ, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობებს, LGBT+ თემის წევრებს, მედიას, სამოქალაქო აქტივისტებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებს, ჩვენს დონორებს, ბენეფიციარებს, ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ პირებს, ჩვენს გულშემატკივრებს თუ კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს, GDI-ს მთელ გუნდს,

მოგესალმებით,

მინდა იცოდეთ, რომ ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია მოგმართოთ GDI-ს სახელით და შევაჯამო 2021 წელს GDI-ს საქმიანობა.

გულწრფელი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ საქართველოში სამოქალაქო სექტორის წევრობა, უფლებადაცვითი საქმიანობა არ არის მარტივი საქმე, ისეთი მარტივი, როგორც ეს შეიძლება გარედან, ერთი შეხედვით ჩანდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელი შეგნებით ემსახურები იმ იდეალებს, რომელთა დაცვა და მიღწევაც გსურს, GDI კი სწორედ ამ ღირებულებებით არსებობს.

2021 წელი საკმაოდ დატვირთული და ამავე დროს ნაყოფიერი იყო ორგანიზაციისთვის. დატვირთული, ქვეყანაში არსებული სირთულეების კვალდაკვალ - დაძაბული და პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, რომელიც მთელ საზოგადოებაზე აირეკლება, პანდემია, ავტორიტარიზმის აშკარა ნიშნები ქვეყანაში, არსებითი პრობლემები სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაში, ოკუპაცია და რუსული პროპაგანდა, ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბები. ნაყოფიერი კი იმ კუთხით, რომ GDI შეუპოვრად, მნიშვნელოვანი შედეგებით, აგრძელებდა და აგრძელებს ყველა ამ გამოწვევასთან ბრძოლას, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებასა და ქვეყნის დემოკრატიზაციის ხელშეწყობას.

2021 წლის განმავლობაში ჩვენ კვლავ აქტიურად ვმუშაობდით კანონის უზენაესობის მიმართულებით, მართლმსაჯულების სფეროს გაჯანსაღების, რეფორმების ინიცირებისა და მათი ადვოკატირების კუთხით. საინფორმაციო კამპანიების საშუალებით, განსაკუთრებული ძალისხმევა მივმართეთ ქართულ მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების მიმართ საზოგადოების ინტერესის ამაღლებაზე. გავაგრძელეთ მედიისა და სამოქალაქო აქტივისტების, როგორც ქვეყნის დემოკრატიის მნიშვნელოვანი საყრდენის, უფლებების დაცვა, მათი ინტერესების წარმოდგენა სახელმწიფო უწყებებთან, საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში.

2021 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. GDI-ს პლატფორმა civiceducation.ge მეშვეობით მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება გადავეცით სამოქალაქო განათლების ასობით მასწავლებელსა და მოსწავლეს. განსაკუთრებით გვახარებს, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეს ყველაფერი შევძელით ტრენინგების, ოლიმპიადების, ესეების

კონკურსების, დებატების მასშტაბური პროექტისა და სხვა ინოვაციური გზებით.

აქტიურად განვაგრძობდით ბრძოლას დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასთან, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან. თქვენთან ერთად ვიზეიმეთ მნიშვნელოვანი წარმატებები სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულებით, როგორც ეროვნულ დონეზე, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში, ისე საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქციების ფარგლებში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა ახალი პარტნიორების შეძენა. 2021 წლის განმავლობაში, GDI-ს ნდობა და მხარდაჭერა ახალმა დონორებმაც გამოუცხადეს. მსგავსი სიახლეები ჩვენთვის ორგანიზაციის სწორი მიმართულებით სვლის ინდიკატორი და დამატებითი მოტივაციაა.

2021 წლის ბოლოს GDI-ს გუნდის სრული ჩართულობით შეიქმნა ორგანიზაციის მომავალი სამი წლის საქმიანობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია შეიქმნა საქართველოში არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სხვა სახის რეალობის გათვალისწინებით და იმის გააზრებით, თუ რა არის სამოქალაქო საზოგადოებების როლი მაშინ, როდესაც ქვეყანაში აშკარა ხდება ავტორიტარიზმის ნიშნები და არსებითად სუსტდება დემოკრატია. ამიტომ, GDI შემდგომი საქმიანობისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიმართავს ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობისკენ.

დღეს, როდესაც საქართველოს დემოკრატიისა და უსაფრთხოების პერსპექტივა ბუნდოვანია, როდესაც ფაქტობრივად არ მუშაობს ხელისუფლების შტოებს შორის გაწონასწორებისა და დაბალანსების კონსტიტუციური პრინციპები, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა დღითიდღე ნადგურდება, ხოლო უკრაინაში რუსეთის ღია აგრესიის ფონზე საქართველოში სულ უფრო ძლიერდება ოკუპანტი ქვეყნის პროპაგანდა და ინტერესები, GDI შეუპოვრად განაგრძობს ერთგულებას თავისი მიზნებისა და ღირებულებების მიმართ.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისაც სჯერა ჩვენი, გვენდობა და გვგულშემატკივრობს. მადლობა მათაც, ვინც კრიტიკულად გვიყურებს, რადგან ამით გვაძლევენ მოტივაციას ვიყოთ უკეთესები და გადავდგათ კიდევ უფრო მყარი ნაბიჯები ჩვენი მიზნების მისაღწევად. და ბოლოს, მადლობა GDI-ს მთელ გუნდს, რადგან ამ შედეგების მიღმა, რასაც წინამდებარე ანგარიშში იხილავთ, დგას ღირებულებების ერთგულ ადამიანთა გუნდი, ვისაც სჯერა, რომ მათი ძალისხმევა გარემოს უკეთესობისკენ ცვლის.

პატივისცემით,

კანონის უზენაესობის პროგრამა

კანონის უზენაესობის პროგრამა, წლებია, აქტიურად მუშაობს მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. პროგრამისთვის უმთავრესი ამოცანა სასამართლო სისტემის გაჯანსაღება, „კლანური მმართველობისგან" თავისუფალი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნაში წვლილის შეტანაა. ამასთანავე, იგი ორიენტირებულია როგორც საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ საზოგადოების ცნობადობის გაზრდასა და ინფორმირებულობაზე, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებაზე.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

სასამართლო სისტემაში არსებულ და მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, GDI-მ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- *მომზადდა 2 ინფორმაციული ვიდეო, რომლებშიც სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრის არჩევისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინაციისა და შერჩევის პროცესების შესახებ*[1]

- *135 ინფორმაციული ქარდი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატთა გასაუბრებების შესახებ*[2]

- *9 მოკლე ვიდეო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი 9 კანდიდატის შესახებ. ვიდეოები მოიცავს ინფორმაციას კანდიდატთა ბიოგრაფიის, პროფესიული გამოცდილებისა და გადაწყვეტილებების შესახებ და ამონარიდებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათი გასაუბრებიდან*[3]

- *108 ინფორმაციული ვიდეო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის 2 პროცედურის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანდიდატთა საჯარო მოსმენების საფუძველზე. ეს ვიდეოები ეფუძნებოდა წარდგენილი 13 კანდიდატისთვის კომიტეტზე დასმულ შეკითხვებსა და მათ პასუხებს*[4]

- *21 ინფორმაციული ქარდი 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული დავების შესახებ.*[5] *ამასთანავე, მომზადდა იმ მოსამართლეთა პორტფოლიოებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ მოცემულ დავებზე გადაწყვეტილების მიღებაში*[6]

---

1 ვიდეოები ხელმისაწვდომია „იცნობდე შენს მოსამართლეებს" Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/Judges.ge/?ref=page_internal

2 ქარდები ხელმისაწვდომია კოალიციის, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსთვის", Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/CoalitionGe

3 ვიდეოები ხელმისაწვდომია კოალიციის, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსთვის", Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/CoalitionGe

4 ვიდეოები ხელმისაწვდომია კოალიციის, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსთვის", Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/CoalitionGe

5 ქარდები ხელმისაწვდომია „იცნობდე შენს მოსამართლეებს" Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/Judges.ge/?ref=page_internal

6 მოსამართლეთა პორტფოლიოები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - https://judges.ge/

- *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლის პორტფოლიო*[7]
- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20 მოსამართლის პორტფოლიო.*[8]

ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება

ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერების კუთხით გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- *საზოგადოებისათვის მოსამართლის მიერ მიღებული კარგი გადაწყვეტილების მაგალითის სადემონსტრაციოდ, მომზადდა 10 viral ვიდეო აშშ-ის სასამართლოების მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ*[9]
- *მომზადდა ქართველი მოსამართლეების მიერ მიღებული 10 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ბრიფი და მათ შესახებ ინფორმაციული ხასიათის ვიდეოები*[10]
- *მომზადდა მოსამართლეთა პორტფოლიოები, რომლებმაც მიიღეს ზემოთ აღნიშნული 10 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება*[11]
- *მომზადდა 5 ბლოგი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე („ნინოწმინდის ბავშვთა სახლი“, „სალოცავი ადგილის ძიებაში“, „საინტერესო გამონაკლისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე არსებული პრაქტიკიდან“, „რამდენიმე დეტალი „ბირჟა მაფიის“ საქმეზე“, „პროტესტი საკუთარი ჯანმრთელობის ფასად“)*[12]
- *მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების პოპულარიზაციისა და გადაწყვეტილებაში მითითებულ საკითხებზე საზოგადოებრივი მსჯელობის გასააქტიურებლად, გამოცხადდა ესეების კონკურსი საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, როგორც ბაკალავრის, ისე მაგისტრატურის საფეხურზე. კონკურსის ფარგლებში, კონკურსანტებს ევალებოდათ წინასწარ განსაზღვრული სასამართლოს 3 გადაწყვეტილებიდან სულ მცირე 1-ზე ესეს მომზადება.*

7 მოსამართლეთა პორტფოლიოები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - https://judges.ge/

8 იქვე.

9 ვიდეოები ხელმისაწვდომია „იცნობდე შენს მოსამართლეებს“ Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/Judges.ge/?ref=page_internal

10 ვიდეოები ხელმისაწვდომია „იცნობდე შენს მოსამართლეებს“ Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/Judges.ge/?ref=page_internal

11 მოსამართლეთა პორტფოლიოები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - https://judges.ge/

12 ბლოგები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - http://www.publica.ge, ასევე, „იცნობდე შენს მოსამართლეებს“ Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/Judges.ge/?ref=page_internal

მართლმსაჯულების სისტემური რეფორმის ადვოკატირება

- *მომზადდა სასამართლო რეფორმის კონცეფციის დოკუმენტი, რომლის მიზანი საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით სისტემური ხედვის წარმოდგენა იყო. დოკუმენტის ადვოკატირებისათვის შეხვედრები გაიმართა როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან, ისე სახალხო დამცველთან და პოლიტიკურ პარტიებთან[13]*

- *GDI-იმ მონაწილეობა მიიღო კოალიციის, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისთვის" მიერ ჩატარებულ ფორუმში, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო სისტემაში არსებული მთავარი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ საჯარო დისკუსიის გამართვას. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, იურიდიული დახმარების სამსახურმა, დამოუკიდებელმა იურისტებმა, სამოქალაქო აქტივისტებმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა წევრმა და ა.შ.14*

კვლევები და ანგარიშები

- *მომზადდა 2020 წლის 7 ოქტომბერს დაწყებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის შეფასების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისე საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესების შეფასებას[15]*

- *მომზადდა კვლევა „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიების" თაობაზე. იგი მოიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-ნომინირების პროცედურის ფარგლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავების პროცესის მიმოხილვასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების ანალიზს[16]*

- *2020 წელს საერთო სასამართლოთა სისტემაში მიმდინარე მოვლენების შესახებ წლიური ანგარიში.[17]*

13 სასამართლო რეფორმის კონცეფციის დოკუმენტი ხელმისაწვდომია GDI-ს ვებგვერდზე - https://gdi.ge/uploads/other/1/1339.pdf

14 ფორუმის ფარგლებში მომზადებული ვიდეოები ხელმისაწვდომია კოალიციის, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსთვის", Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/CoalitionGe

15 შეფასების დოკუმენტი ხელმისაწვდომია GDI-ს ვებგვერდზე - https://gdi.ge/uploads/other/1/1391.pdf (ქართული ვერსია), https://gdi.ge/uploads/other/1/1392.pdf (ინგლისური ვერსია).

16 კვლევა ხელმისაწვდომია GDI-ს ვებგვერდზე - https://gdi.ge/uploads/other/1/1426.pdf (ქართული ვერსია), https://gdi.ge/uploads/other/1/1427.pdf (ინგლისური ვერსია).

17 წლიური ანგარიში ხელმისაწვდომია GDI-ს ვებგვერდზე - https://gdi.ge/uploads/other/1/1334.pdf

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა თავის თავში აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას: სტრატეგიული სამართალწარმოება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და თანასწორობის საკითხების ადვოკატირება. პროგრამა, წლებია, აქტიურად მუშაობს საქართველოში ისეთი უფლებების დაცვასა და განმტკიცებაზე, როგორიცაა გამოხატვისა და მედიის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და ა.შ. სამართლებრივი დახმარების გაწევით, სტრატეგიული სამართალწარმოებით, მონიტორინგით, ადვოკატირებით, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებითა და სხვა გზებით, ორგანიზაციას წვლილი შეაქვს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასა და განმტკიცებაში. ორგანიზაცია ორიენტირებულია გააუმჯობესოს კანონმდებლობა, შეცვალოს უფლებათა შელახვის მანკიერი პრაქტიკა და უკეთესი გახადოს სამიზნე ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა.

სტრატეგიული სამართალწარმოება და წარმატებული საქმეები

2021 წელს GDI-მ აწარმოა არაერთი სტრატეგიული საქმე, რომლის მიზანი იყო ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო თუ ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა სფეროში.

წარმატებული საქმეები

აღნიშვნის ღირსია ე.წ. აიისას საქმე, რომელიც ორგანიზაციამ, 2021 წლის 22 ივლისს, წარმატებით დაასრულა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. სასამართლომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლების (კონვენციის მე-10 მუხლის) დარღვევა დაადგინა. ევროსასამართლომ გაიზიარა GDI-ს პოზიცია, რომ მოსარჩელის პროდუქციას წვლილი შეჰქონდა სოციალური და პოლიტიკური დატვირთვის მქონე სხვადასხვა საჯარო მნიშვნელობის საკითხის, მათ შორის, სექსუალობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების შესახებ დისკუსიაში, ხოლო ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება GDI-ის ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიღწევაა, რამდენადაც იგი გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტზე მიუთითებს და უარყოფს პლურალიზმის ხარჯზე კონკრეტული დომინანტური ჯგუფის რელიგიურ-ზნეობრივი შეხედულებების უპირატესობას. შეგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ი/მ ანი გაჩეჩილაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნეს Facebook გვერდზე, ასევე, „აიისა“-ს ბრენდით წარმოებულ პროდუქტზე არაეთიკური, საზოგადოებრივი ზნეობის საწინააღმდეგო რეკლამის განთავსებისათვის.

GDI-მ 2021 წლის 23 სექტემბერს ასევე წარმატებით დაასრულა საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება *საქმეზე, „გიორგი ცეხცვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.* საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია GDI-ს წარმომადგენლობით გასაჩივრებული ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ერთი საგამოძიებო ორგანოდან სისხლის სამართლის საქმის იმ ორგანოსათვის გადაცემის უფლებამოსილებას ანიჭებდა, რომლის თანამშრომლის (პოლიციელის) მიერ კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული უფლების ხელყოფის ფაქტზე არსებობდა საფუძვლიანი საჩივარი. აღნიშნული უფლებამოსილება გამოძიების დამოუკიდებლობას უქმნიდა საფრთხეს და იყო შეუზღუდავი. GDI-ს მიერ

წარმოებული საქმე პრეცედენტული მნიშვნელობისაა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების დაცვის გარანტიიდან მომდინარე ეფექტიანი გამოძიების ვალდებულებაზე პირველად იმსჯელა და მისი დარღვევა დაადგინა.

იუხიდიული დახმარება და წარმომადგენლობა სახელმწიფო ორგანოთა წინაშე

GDI, 2021 წლის განმავლობაში, მოსარჩელეებს წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე განსახილველ სამ საქმეში. კერძოდ, *ერთ საქმეში* GDI-მ გაასაჩივრა დაგროვებით საპენსიო სქემაში დასაქმებულთა ჩართვისა და დამსაქმებელთა შენატანის სავალდებულოობა, *ხოლო მეორე შემთხვევაში* სადავოდ გახადა იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც მაუწყებელს ავალდებულებს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან არასრულწლოვნის დაცვას და უკრძალავს მსგავსი ინფორმაციის შემცველი პროგრამის გადაცემას. მესამე საქმე კვლავ ანი გაჩეჩილაძეს და მის მფლობელობაში არსებულ კომპანიას, „აიისას“ ეხება. საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულია ის ნორმები, რომელზე დაფუძნებითაც 2018 წელს დააჯარიმეს კომპანია. სამივე შემთხვევაში სასამართლო გასულია სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. გარდა ამისა, 2021 წელს ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოში ორი ახალი სარჩელი წარადგინა.

ეროვნული ორგანოების წინაშე GDI ასევე იცავდა 2021 წლის 5 ივლისს სიძულვილის ჯგუფების მიერ ძალადობის შედეგად დაზარალებული *„თბილისი პრაიდის“ აქტივისტების ინტერესებს.* აქტივისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად GDI-მ მიმართა როგორც პროკურატურას, ისე სასამართლოს. თუმცა ეროვნულმა ორგანოებმა უარი თქვეს ატქივისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. მათი უმოქმედობის შემდეგ, GDI-მ, აქტივისტების ინტერესების დასაცავად, საჩივრის მომზადება დაიწყო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

„თბილისი პრაიდის“ აქტივისტების შემთხვევის ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაძლო უკანონო მიყურადების შედეგად დაზარალებული ჟურნალისტებისა და სხვა პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, GDI-მ ჯერ პროკურატურას, შემდეგ სასამართლოს მიმართა, მაგრამ არცერთმა არ მიანიჭა GDI-ს ბენეფიციარებს დაზარალებულის სტატუსი.[18] შესაბამისად, GDI-მ მოამზადა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

აქტივისტების დაცვა

2021 წელს გამართული დემონსტრაციების პარალელურად, GDI აქტიურად იცავდა სამოქალაქო აქტივისტების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას ხელისუფლების მიერ გაუმართლებელი ჩარევისგან, რომელიც (ძირითადად) გამოიხატებოდა აქტივისტების უკანონო დაკავებით, გასამართლებითა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით. GDI-ის წარმოებაში იყო 25 საქმე, რომელთაგან ახალი გამოწვევების საილუსტრაციოდ აღსანიშნავია *გიორგი თაბაგარისა* და ალიკა კუპრავას[19] საქმეები.

გიორგი თაბაგარი სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის/პოლიციელის შეურაცხყოფის საფუძვლით. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისს, როდესაც თაბაგარი სხვა ლგბტ

18 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში, 2021, გვ. 19, იხ.: https://gdi.ge/uploads/other/1/1419.pdf [უკანასკნელად ნანახია 04.02.2022].

19 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 37-41, იხ.: http://hrc.ge/files/reports/188sasamartlos%20monitoringi-geo.pdf [უკანასკნელად ნანახია 04.02.2022].

აქტივისტებთან ერთად იყო ჰომოფობიური, ძალადობრივი დევნის მსხვერპლი, თაბაგარმა სატელეფონო საუბრისას მწვავედ, მათ შორის, სალანძღავი სიტყვებით გააკრიტიკა პოლიციელი, რომელმაც მას „თბილისი პრაიდის“ ოფისში, ანუ ძალადობის ერთ-ერთ ეპიცენტრში მისვლა მოსთხოვა. თაბაგარის საქმე GDI-ს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა, როდესაც პირი სამართალდამრღვევად ცნეს მის მიერ არა პირისპირ, არამედ სატელეფონო საუბრისას გამოხატული მოსაზრებების გამო.

რაც შეეხება *ალიკა კუპრავას* საქმეს, იგი ქუჩაში, პირადი მიზნებისთვის გადაადგილების დროს დააკავეს. საწყის ეტაპზე მას გამოკითხვაზე გაყოლა სთხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი, ტელეფონი წაართვეს და ძალის გამოყენებით გადაიყვანეს განყოფილებაში. მისი განცხადებით, იგი სუსის თანამშრომლებმა დააკავეს, სასამართლოში მოწმედ წარმოდგენილი პოლიციელები კი დაკავების ადგილზე არ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ალიკა კუპრავას საქმე კარგად აშიშვლებს ადმინისტრაციულ დაკავებებთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებულ ყველა მანკიერ პრაქტიკას. ამავე დროს, მისი საქმე საგანგაშოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სამართალდამცავი უწყებები აღარ ერიდებიან აქტივისტების შუა ქუჩიდან ფაქტობრივად გატაცებას და მათთვის თავისუფლების აღკვეთას.

მედია ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების დაცვა

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს GDI-მ სამართლებრივი დახმარება გაუწია 20-ზე მეტ მედია ორგანიზაციასა და ჟურნალისტს, და წარმოადგინა ისინი სახელმწიფო უწყებებში/ სასამართლოში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცილისწამებასთან დაკავშირებული საქმეები. მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ხშირია სასამართლოს გზით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები, როგორც კერძო პირების, ისე საჯარო პირების მხრიდან. GDI-ს, სამართლებრივი დახმარების მისაღებად, არაერთმა მედიამ მიმართა, რომლის წინააღმდეგაც ცილისწამების მოტივით სარჩელი იყო შეტანილი სასამართლოში. ორგანიზაციამ კანონმდებლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის შედეგად უზრუნველყო მოპასუხე მედია ორგანიზაციებისთვის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და მათი წარმომადგენლობა სასამართლოში. მიგვაჩნია, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიის თავისუფლების დაცვისთვის, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე სახელმწიფო უწყებების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს ეხება.

ამასთანავე, GDI აქტიურად არის ჩართული წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებული მოწესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზში. მაგალითად, GDI-მ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა ერთ-ერთი ასეთი საქმე და მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსთან დაკავშირებით.

გარდა მოსარჩელეთა წარმომადგენლობისა, GDI აქტიურად არის ჩართული სასამართლო მეგობრის მოსაზრებების მომზადებაშიც, რომლის მიზანია სასამართლოს წარედგინოს გარე ექსპერტული მოსაზრება/კვლევა განსახილველი საქმის ირგვლივ.

წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ სავარაუდო სამართალდარღვევებზე, GDI-მ 2021 წელს „სასამართლო მეგობრის“ ორი მოსაზრება წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

პირველი *მოსაზრება* ეხება 2021 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ სამართალდარღვევის ოქმის შედგენას. კომუნიკაციების კომისია ტელეკომპანიას საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის გამო ედავებოდა, რის შემდეგაც სასამართლოს უნდა შეეფასებინა რამდენად ჰქონდა ადგილი სამართალდარღვევის ფაქტს. „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების ფარგლებში, GDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს შესთავაზა გზები, თუ რა ფორმით უნდა განიმარტოს „პოლიტიკური რეკლამის“ ცნება, რომელიც რამდენიმე კუმულატიური წინაპირობისგან/კრიტერიუმისგან შედგება. საყურადღებოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების ფარგლებში GDI-ს შეთავაზებული პოზიცია, თუმცა, მას შემდეგ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა პირველ ინსტანციას, მან შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

ამასთანავე, წარდგენილი მეორე „სასამართლო მეგობრის“ *მოსაზრებაში* განხილულია 2021 წლის 25 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევისთვის შპს „მთავარი არხის“ 111,903.43 ლარით დაჯარიმების საკითხი. GDI მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარმოდგენილი ვიდეორგოლები „პოლიტიკურ რეკლამად“ ამ ცნების ძირითადი ელემენტების უგულებელყოფითა და საერთაშორისო პრაქტიკის თვითნებური განმარტების საფუძველზე დააკვალიფიცირა. გარდა ამისა, GDI მიიჩნევს, რომ სადავო ვიდეორგოლები არც თავისი შინაარსით მოიცავს „პოლიტიკური რეკლამის“ ცნების ელემენტებს და სინამდვილეში უფრო გონივრული იქნებოდა მათი „სოციალურ რეკლამად“ დაკვალიფიცირება.

კარტოგრაფების საქმე

GDI ასევე იცავს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილის ინტერესებს. მელაშვილს ბრალად ედება საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ (სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[20] ივერი მელაშვილი 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე 1 თვით ადრე[21] დააკავეს. GDI საქმეში ჩაერთო ბრალდების წარდგენის დღიდან და აქტიურად მუშაობდა დაცვის მხარის მტკიცებულებების მოპოვებაზე, რომლებიც წინასასამართლო სხდომაზე წარადგინა. 2021 წლის 28 იანვარს მოსამართლემ ივერი მელაშვილს პატიმრობა 20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა, რომელიც მოქალაქეების დახმარებით მალევე შეგროვდა.[22] ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს არსებითი განხილვა.

20 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 9.

21 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 10.

22 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 9-10.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს „კარტოგრაფების საქმეზე“ *წარედგინა საჩივარი,* რომელიც მომზადდა GDI-თან თანამშრომლობით და რომელიც ეხება ევროკონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევას ბრალდებულის დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდთან (2020 წლის 7 ოქტომბრიდან 2021 წლის 28 იანვრამდე) დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საქმე, გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან და ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან გამომდინარე,[23] პოლიტიკურად მოტივირებულად და მიკერძოებულად მიიჩნევა.

სხვა საქმეები

GDI პერიოდულად უწევს სამართლებრივ დახმარებას იმ პირებსაც, რომლებიც საჯარო უწყებებიდან უკანონო გათავისუფლების/დაქვეითების მსხვერპლნი გახდნენ. ამ მხრივ გამორჩეულია ნოტარიუს *მედეა გვაზავას საქმე,* რომელიც იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, თეა წულუკიანმა გაათავისუფლა, ისე, რომ მას არ მისცა კანონით მინიჭებული შესაძლებლობით სარგებლობის უფლება. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ დაადგინა დარღვევა და სამინისტროს უკანონოდ გათავისუფლებულ ნოტარიუსთან მიმართებით, საქმის გარემოებების ხელახლა გამოკვლევის შედეგად, ახალი ბრძანების მიღება დაავალა. საბოლოოდ, სამინისტრომ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და ნოტარიუსს გაუგრძელა უფლებამოსილება.

აღნიშვნის ღირსია სამოქალაქო აქტივისტის, გიორგი მუმლაძის ძმის, *მანუჩარ მუმლაძის საქმეც.* მესაზღვრე, მანუჩარ მუმლაძე, სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებით, როტაციის ფორმალური საფუძვლით, მის ძირითად საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს 500 კილომეტრით დააშორეს. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით განხორციელდა მუმლაძის არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ თანამდებობრივი როტაციაც. მანუჩარ მუმლაძე მიიჩნევდა, რომ მისი სამსახურებრივი როტაცია, მისი ძმის, გიორგი მუმლაძის სამოქალაქო აქტიურობას უკავშირდებოდა და მის მიმართ სადამსჯელო ღონისძიების ხასიათს ატარებდა. 2021 წლის მარტში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლომ, მანუჩარ მუმლაძის როტაციის შესახებ ბრძანების, როგორც აშკარად უკანონოს, მოქმედება შეაჩერა და მოსარჩელე როტაციამდელ სამუშაო ადგილზე დააბრუნა.

2 - მოგებული სტრატეგიული საქმე;

7 - მიმდინარე სტრატეგიული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;

2 - სხვა წარმატებული საქმე;

20 საქმე - მედია ორგანიზაციების/ჟურნალისტების დაცვა;

25 საქმე - აქტივისტების დაცვა.

23 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში, 2020, გვ. 18-20, იხ.: https://gdi.ge/uploads/other/1/1277.pdf [უკანასკნელად ნანახია 04.02.2022].

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება

მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა

საქართველოს კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის მონიტორინგი

2021 წელს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას თავისი საქმიანობით არაერთხელ ჰქონდა მცდელობა ჩარეულიყო მედიის თავისუფლებაში, რაც გამოიხატა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მაუწყებლების დაჯარიმების ან სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ. ამის გათვალისწინებით, GDI განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული მარეგულირებელი კომისიის მონიტორინგში და მის საქმიანობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი აქტივობა განახორციელა.

ორგანიზაციამ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, არაერთი ანალიტიკური დოკუმენტი გამოაქვეყნა მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ პრაქტიკასთან და სტანდარტებთან დაკავშირებით. კერძოდ, GDI-მ სამართლებრივად *შეაფასა* კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც კომისიამ სამართალდამრღვევად ცნო შპს „მთავარი არხი“ ეთერში გასული ერთ-ერთი სიუჟეტისათვის. კომისიის აზრით, სადავო სიუჟეტი უხამსობას შეიცავდა. ამასთანავე, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტები კომისიის მიერ *ბავშვთა უფლებების დაცვის* საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და *წინასაარჩევნო/პოლიტიკური ოკეანის* განთავსებასთან დაკავშირებით მაუწყებელთა საკანონმდებლო ვალდებულებებისა და პრაქტიკის შესახებ. დოკუმენტები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც GDI-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე Facebook-ზე.

გარდა ამისა, GDI-ს იურისტები შეისწავლიდნენ კომუნიკაციის კომისიის სხდომებს და წარმოადგენდნენ ორგანიზაციის ხედვასა და მოსაზრებებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. იურისტები სულ მცირე 20 ასეთ სხდომას დაესწრნენ.

მედიის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით გადადგმული სხვა ნაბიჯები

ცნობიერების ამაღლების მიზნით, GDI 2021 წელს ვიზუალური მასალის გამოყენებით საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ. მაგალითად, სოციალური ქსელების გამოყენებით, ორგანიზაციამ შექმნა და გამოაქვეყნა ინფოგრაფიკები კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის წლიური ანგარიშის ანალიზის შედეგად GDI-ს ძირითად *მიგნებებზე,* არასრულწლოვანთათვის შეუფერებელ პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების *სტატისტიკისა* და იმ *სატელევიზიო პროგრამების* შესახებ, რომლებიც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ბავშვისათვის საფრთხის შემცველად მიიჩნია და მათი კანონით დაუშვებელ დროს განთავსებისთვის დააჯარიმა მაუწყებლები. გარდა ამისა, გამოვაქვეყნეთ *ვიდეო,* სადაც გადმოცემულია მარეგულირებელი კომისიის ძირითადი უფლებამოსილებები, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მანდატის შესახებ.

დამატებით, საანგარიშო წლის განმავლობაში, GDI-მ მედიის წარმომადგენლებსა და იურისტებს ჩაუტარა 4-დღიანი ტრენინგები მედიის თავისუფლებაზე. ტრენინგების მთავარი მიზანი იყო მედიის წარმომადგენლებისა და იურისტების ცნობიერების ამაღლება მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოწესრიგებისა და ამ კუთხით

არსებული გამოწვევების შესახებ. ტრენინგები მოიცავდა ინფორმაციას ცილისწამებასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტების, მედიების რეგულირებისა და თვითრეგულირების, ჟურნალისტთა დაცვის გარანტიებისა და არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის სფეროში კომუნიკაციების კომისიის მანდატის შესახებ.

ბოლოს, საყურადღებოა, რომ GDI არის კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" აქტიური წევრი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობს კოალიციური განცხადებებისა და ანგარიშების მომზადებაში, ესწრება კოალიციის სხდომებს და სხვა შეხვედრებს. მაგალითად, აღნიშვნის ღირსია კოალიციის ფარგლებში მომზადებული ორი ანგარიში, *„მედიის პოგჰომი, თბილისი, 5-6 ივლისი"* და *„მედიაგაჰემოს შეფასება, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საქართველოში",* რომელშიც GDI-ს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამასთანავე, კოალიციის წარმომადგენლები შეხვდნენ ევროსაბჭოს ექსპერტებსა და წარმომადგენლებს მედიის თავისუფლების სფეროში, შეიმუშავეს წინადადებები მედიის თავისუფლების კუთხით კანონმდებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, და სხვ.

შეკრების თავისუფლების დაცვა

2021 წელს GDI აქტიურად უწყობდა ხელს სამოქალაქო აქტივიზმისა და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების რეალიზებისთვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნას. კერძოდ, ამ მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, GDI-ს აქტიური ჩართულობით შეიქმნა *სამოქალაქო აქტივისტების იურიდიული დახმარების ქსელი,* რომელშიც თითოეული ორგანიზაციიდან ჩართული ადვოკატები სამართლებრივ დახმარებას უწევენ აქტივისტებს და იცავენ მათ ინტერესებს სახელმწიფო ორგანოებში. ქსელის საქმიანობას კოორდინაციას უწევს GDI. GDI-ს პარტნიორი ორგანიზაციები აწვდიდნენ, მათ შორის, წარმოებული საქმეების მონაცემებს ერთიანი სტატისტიკის აღრიცხვის მიზნით, ხოლო GDI აწარმოებდა და Facebook-ზე აქვეყნებდა საქმეების სტატისტიკას იურიდიული დახმარებისა და პროექტის შედეგების შესახებ, საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

გამოხატვის თავისუფლების დაცვა საკანონმდებლო დონეზე

GDI აქტიურად აკვირდებოდა 2021 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში წარდგენილ და განხილულ ინიციატივებს, რომლებიც საფრთხის შემცველი იყო/არის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების თვალსაზრისით. ამგვარი ცვლილებების თავიდან არიდების მიზნით, GDI-მ პარლამენტს წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები პარლამენტში შესულ კანონპროექტებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ეხებოდა *„უარყოფითი დამოკიდებულების" და „სიძულვილის ენის" შემცველი პოლიტიკური ჰეკლამების/სააგიტაციო მასალის აკრძალვას,* მეორეკი - *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევისათვის სანქციების გამკაცრებას.*

კვლევითი საქმიანობა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დასაცავად

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, GDI აქტიურად ახორციელებდა კვლევით საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც მოამზადა ანგარიშები. GDI-მ მოამზადა *2021 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ახსებულ მდგომარეობაზე ანგარიში,* რომელშიც თემატურად არის მიმოხილული 2021 წლის ის ძირითადი მოვლენები და შემთხვევები, რომლებიც წარმოაჩენს, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სფეროებში.[24] GDI-მ „საფართან" პარტნიორობით მონაწილეობა მიიღო *საქართველოში უფლებადამცველთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ* კვლევაში, რომელშიც გააანალიზა უფლებადამცველთა (საქმიანობის) აღიარებისა და დაცვის შესახებ მოდელურ კანონთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა და შეიმუშავა რეკომენდაციები. GDI-მ ასევე მოამზადა ანგარიში *„05.07.21 მაჩში ღირსების გარეშე",* რომელშიც განხილულია 2021 წლის 5 ივლისს სიძულვილის ჯგუფების მიერ ლგბტ+ თემის „ღირსების მარშის" დარბევა, დარბევის წინარე და შემდგომი მოვლენები, ასევე, სამართლებრივად არის გაანალიზებული სახელმწიფოს რეაგირება, უფრო სწორედ კი, სათანადო რეაგირების არარსებობა „ღირსების მარშის" ჩაშლაზე. მომზადებული ანგარიშები გამოქვეყნდა და დაიგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან. GDI-ს კვლევითი საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის დოკუმენტირების და მათ შესახებ საზოგადოებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ GDI აქტიურად მონაწილეობს კოალიციური ანგარიშებისა და კვლევების მომზადებაშიც. მაგალითად, მან წვლილი შეიტანა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" სახელით მომზადებულ ორ ანგარიშში: *"მედიის პოგრომი, თბილისი, 5-6 ივლისის, 2021", „მედიაგარემოს შეფასება 2021 წლის აგვისტოს თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში, I და II ტური".* ხოლო „კოალიცია თანასწორობისათვის" ფარგლებში უხელმძღვანელა აქტივისტებისა და უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ აღწერის მომზადებას *„დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში"*- ანგარიშისთვის.

თანასწორობის საკითხების ადვოკატირება

2021 წელს GDI აქტიურად იყო ჩართული თანასწორობისა და ტოლერანტობის ადვოკატირებაში, მათ შორის, მხარს უჭერდა ამ კუთხით მომუშავე ჯგუფების ინიციატივებს და მათ სამართლებრივად ეხმარებოდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, რაშიც ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებისთვის შესაძლებლობის მიცემას, მათი გვარებიდან ამოიღონ მე-19 საუკუნეში გაჩენილი რუსული დაბოლოებები (ოვ(ა), ევ(ა) და სხვ.). სამოქალაქო პლატფორმა „სალამმა", კამპანიის, „გვარი დამიბრუნეს", ფარგლებში, GDI-სა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტისთვის სამართლებრივი მხარდაჭერის თხოვნით მიმართა. GDI-მ, საკითხის კვლევისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლის შედეგად, „სალამს" ინფორმაცია მიაწოდა პარლამენტისთვის შესათავაზებელ რეგულაციასთან დაკავშირებით და აქტიურად მიიღო მონაწილეობა კანონპროექტის შედგენაში.

24 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში, 2021, გვ. 2.

ამასთანავე, GDI-მ „თბილისი პრაიდს“ გაუწია იურიდიული კონსულტაცია პრაიდის კვირეულთან დაკავშირებით. მათ შორის, იგი ესწრებოდა „თბილისი პრაიდსა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გამართულ შეხვედრებს, რომლებზეც სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.[25]

GDI-ს წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგ კურსში ევროპის საბჭოს სტანდარტების შესახებ, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სახელმწიფო ინსტიტუტების, სახალხო დამცველის აპარატისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგ კურსი იყო საქართველოში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული რეაგირების დოკუმენტირებისა და შესწავლის მიზნით დაგეგმილი ერთ-ერთი აქტივობა, რომლის შემდეგ გაიმართა ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუები და მომზადდა საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნული მექანიზმების კარტირების შესახებ სისტემური ანალიზისა და პოლიტიკის ანგარიშის სამუშაო დოკუმენტი. GDI-ს გუნდმა მონაწილეობა მიიღო ინტერვიუში, ასევე, სამუშაო დოკუმენტის შეფასებაში. მოგვიანებით კი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა საჯარო პრეზენტაციაზე მომხსენებლის სტატუსით წარადგინა ორგანიზაციის დაკვირვებები დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთანავე, GDI-ს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა, როგორც მომხსენებელმა, *მონაწილეობა მიიღო* ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) 30-ე იუბილისადმი მიძღვნილ კონფერენციაში, სადაც ისაუბრა ODIHR-ის რეგიონში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში დისკრიმინაციის კუთხით არსებულ ტენდენციებზე (მაგალითად, ჰომოფობიასა და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციაზე), სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობებისა და სხვა რელევანტური სუბიექტების მიერ დისკრიმინაციის წინააღმდეგ განხორციელებულ პოზიტიურ ღონისძიებებსა და ODIHR-ის როლზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღნიშვნის ღირსია პოლიტიკური პარტიების რეგიონული ოფისებისა და რეგიონში მცხოვრები აქტიური ახალგაზრდებისათვის ჩატარებული ტრენინგებიც, რომლებიც მიმართული იყო თანასწორობის პრინციპის, გამოხატვის თავისუფლებისა და სიძულვილის ენის საკითხების გააზრებისკენ. ორგანიზაციამ, 2021 წელს, 7 ასეთი ტრენინგი გამართა თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა და რუსთავში.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან ერთად, GDI-მ ევროსაბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფისათვის (GREVIO) ***ორი აღტეხნატიული ანგარიში წარადგინა.*** პირველი ჩრდილოვანი ანგარიში ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასა და კანონმდებლობაში სექსუალური დანაშაულების კუთხით არსებულ გამოწვევებს, ხოლო მეორე ანგარიშში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა თანასწორობა და ზოგადი ვალდებულებები, ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლი ქალების დაცვა და მხარდაჭერა, მატერიალური სამართალი, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, პროცედურული სამართალის და დაცვის ღონისძიებები.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ GDI არის თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ სამდივნოსა და კოალიცია თანასწორობისათვის წევრი.

25 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „05.07.21 მარში ღირსების გარეშე“, 2021, გვ. 5, იხ.: https://gdi.ge/uploads/other/1/1384.pdf [უკანასკნელად ნანახია 04.02.2022].

ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ორივე კოალიციის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობაში. კერძოდ, „არა-ფობიას!“ ფარგლებში, შეისწავლის და რეაგირებს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე, მედიისა და პოლიტიკოსების მხრიდან. მაგალითად, 2021 წელს, პლატფორმის წევრებმა საჩივარი შეიტანეს „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოში, ტელეეთერში გაჟღერებულ *სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებთან* დაკავშირებით. კოალიცია „თანასწორობისათვის“ ფარგლებში კი, ორგანიზაცია მონაწილეობს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულებაში და სხვადასხვა დისკრიმინირებული ჯგუფის მდგომარეობის მონიტორინგში. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო *საჯარო პრეზენტაციაში,* რომელიც ეძღვნებოდა სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

ანალიტიკური დოკუმენტები - 5

პარლამენტში წარდგენილი დასკვნები კანონპროექტებზე - 2

სასამართლო მეგობრის მოსაზრებები - 2

კვლევები/ანგარიშები - 3

კოალიციური ანგარიშები- 5

სამოქალაქო განათლების პროგრამა

GDI-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა სამოქალაქო განათლების სწავლება და ამ კუთხით ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სამოქალაქო განათლების ონლაინ პლატფორმის *civiceducation.ge* -ს (სამოქალაქო განათლება ყველასათვის) განახლება და გაძლიერებაა.

ონლაინ პლატფორმა 2016 წელს შეიქმნა და 2021 წლის ბოლოს უკვე 21200-ზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავდა.

2021 წელს გაიმართა *civiceducation.ge* -ს ონლაინ ოლიმპიადა *სომხურ და აზერბაიჯანულ* ენებზე.

2021 წელს საიტს სამივე ენაზე დაემატა ახალი გაკვეთილი *„მედია და ინფორმაციული წიგნიერება“.* ასევე განახლდა სასწავლო რესურსები მასწავლებლებისთვის.

ოლიმპიადა

2021 წლის გაზაფხულზე გაიმართა civiceducation.ge -ს *მე-4 ონლაინ ოლიმპიადა,* რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1111 მოსწავლემ. გამარჯვებულ ათეულში იყვნენ თბილისის, ქუთაისის, ცაგერის, მცხეთის, დმანისის, ჭიათურის მუნიციპალიტეტების სკოლების X–XII კლასის მოსწავლეები. ონლაინ ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე სალომე გაფრინდაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა გოგიტა კიკნაძის სახელობის თბილისის 182-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე მარიამ შარმაზანაშვილი, მესამე ადგილზე კი - დმანისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე სალომე აბულაძე.

ოლიმპიადის წესების თანახმად, პერსონალური კომპიუტერი გადაეცა ჯილდოდ ოლიმპიადის პირველ ტურში პირველ ადგილზე გასული მოსწავლის მასწავლებელს, კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №3 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელს, კლარა დვალიშვილს.

ტრენინგები

2021 წლის განმავლობაში civiceducation.ge -ზე რეგისტრირებული სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის გაიმართა 16 ციკლი ოთხდღიანი ონლაინ ტრენინგებისა, civiceducation.ge -ს მე-4 თავის, *„მე, ოჯახი, საზოგადოება“* საკითხებზე, ასევე, მედიწიგნიერებისა და თანასწორობის შესახებ. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების 420 მასწავლებელმა. ტრენინგები გაიმართება პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით",* ფარგლებში.

კონკურსები

პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით",* ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის ასევე გაიმართა 2 კონკურსი: სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის ტოლერანტობის დღისა და ადამიანის უფლებათა დღის

აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენად.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის ტოლერანტობის დღის აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენი კონკურსის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, მოსწავლეების მონაწილეობით, 2021 წლის 16 ნოემბერს გამართეს ღონისძიება, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის მნიშვნელობაზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კონკურსში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, 62 პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო, ფოტო და სხვა მასალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილა სამმა კომისიის წევრმა და 3 გამარჯვებული გამოავლინა:

I ადგილი - მერი ბეჟაშვილი - გორის №7 საჯარო სკოლა. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს საჩუქრად გადაეცა პერსონალური კომპიუტერი.

II ადგილი - მაია გვასალია - თეოფანე დავითაიას სახელობის ფოთის №1 საჯარო სკოლა. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს საჩუქრად გადაეცა პროექტორი.

III ადგილი - მიმოზა ღოლიჯაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა (ფოტოაპარატი).

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის ადამიანის უფლებათა დღის აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენი კონკურსის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, მოსწავლეების მონაწილეობით, 2021 წლის 10 დეკემბერს გამართეს ღონისძიება, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებების მნიშვნელობის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კონკურსში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მონაწილეობა მიიღო 27 პედაგოგმა. კონკურსის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო, ფოტო და სხვა მასალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილა სამმა კომისიის წევრმა და 4 გამარჯვებული გამოავლინა:

I ადგილი - ნანა ბიგვავა - ხობის მუნიციპალიტეტი, პატარა ფოთის საჯარო სკოლა. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს საჩუქრად გადაეცა პროექტორი.

II ადგილი - მაია არახამია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხორიის საჯარო სკოლა. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს საჩუქრად გადაეცა პლანშეტი.

III ადგილი - მორის დანდურიშვილი - ხაშურის №1 საჯარო სკოლა და მარიამ ბერია - დმანისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლა. სკოლებს სამოქალაქო განათლების კლუბებისთვის საჩუქრად გადაეცათ პლაზმური ტელევიზორები.

დებატების ჩემპიონატი

პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით",* ფარგლებში, გაიმართა დებატების ჩემპიონატი, რომელშიც, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მონაწილეობა მიიღო 24 გუნდმა. ფინალურ რაუნდში ერთმანეთს სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის თბილისის №182 საჯარო სკოლისა და სსიპ თბილისის 167-ე საჯარო სკოლის გუნდები შეხვდნენ. დებატების

ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის თბილისის #182 საჯარო სკოლის გუნდი.

სხვა აქტივობები

2020 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, GDI-მ მოამზადა 19 ქარდი გაციფრულებული პუბლიცისტური წერილებიდან შერჩეული საუკეთესო ციტატებით, რომლებიც გავრცელდა სოციალური ქსელით, როგორც GDI-ს Facebook გვერდზე, რომელსაც 25 518 გამომწერი ჰყავს, ასევე, „სამოქალაქო განათლება ყველასათვის“ - სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის შექმნილ დახურულ ჯგუფში, რომელშიც 2021 წლის ბოლოს გაწევრიანებული იყო 1271 პედაგოგი.

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მედია დიდ ყურადღებას იჩენდა GDI -ს საქმიანობის მიმართ. ასევე, ხშირად გვეკითხებოდა აზრს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. ორგანიზაცია წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში, არამედ სხვადასხვა ტიპის ანალიტიკურ და შემეცნებით პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში აქტიურად ვიყენებდით ონლაინ კომუნიკაციასაც და, ფაქტობრივად, მუდმივად ხელმისაწვდომი ვიყავით მედია საშუალებებისათვის. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ასევე აქტიურ დახმარებას ვუწევდით მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, რომელთაც საკუთარი საქმიანობის გამო, წლის განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის პრობლემები და დაბრკოლებები ექმნებოდათ.

ინფორმაციის გავრცელების ტრადიციული მეთოდების გარდა, GDI საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს. ორგანიზაციის Facebook გვერდს 25 842 გამომწერი ჰყავს და ამ გვერდის საშუალებით, GDI არა მხოლოდ ინფორმაციას ავრცელებს, არამედ დახმარებას უწევს მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა, მათთვის მნიშვნელოვან ან პრობლემატურ საკითხებზე მოგვმართავენ. ორგანიზაცის ოფიციალური გვერდის გარდა, GDI მართავს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ჯფუფს, რომელშიც 1000-ზე მეტი სამოქალაქო განათლების პედაგოგია გაერთიანებული და მათ სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მათთვის საინტერესო მოვლენებზე, მიმდინარე კონკურსებზე და ა.შ. 2021 წელს GDI -მ ასევე აქტიურად დაიწყო სოციალური ქსელის, „ტვიტერი“, გამოყენება, რათა საერთაშორისო საზოგადოებას უფრო სწრაფად მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა მართავს 4 ვებგვერდს. ესენია:

gdi.ge

civiceducation.ge

judges.ge

hrm.org.ge

ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი ორენოვანია. ვებგვერდზე წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის გუნდის, მიმდინარე და დასრულებული პროექტებისა და საქმიანობის შესახებ.

2021 წელს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 112 განცხადება, 4 ანგარიში, 1 კვლევა და 9 ანალიტიკური დოკუმენტი.

ორგანიზაციული განვითარება

ტრენინგები

GDI მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და, ამდენად, ორგანიზაციაში არსებული ექსპერტიზისა და გამოცდილების კიდევ უფრო მეტად გაზრდაზე. სწორედ ამ მიზნით, 2021 წლის განმავლობაში GDI-ს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და ტრენინგში, რომელთა ფარგლებშიც მათ შეძლეს საკუთარი კომპეტენციის ამაღლება და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მაგალითად, კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, 2021 წლის ოქტომბერში ორგანიზაციის ყველა თანამშრომელმა და სტაჟიორმა IREX-SAFE პროგრამის მხარდაჭერით გაიარა ორგანიზაციული უსაფრთხოების ტრენინგი, რომელიც მოიცავდა ორგანიზაციული უსაფრთხოების, კიბერუსაფრთხოებისა და პერსონალური უსაფრთხოების საკითხებს.

ამასთანავე, ორგანიზაციის თანამშრომლები ჩაერთნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში"(PAR). კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში, მათ მონაწილეობა მიიღეს ფონდების მოძიებასთან, ლობირებასთან, შედეგებზე ორიენტირებულ მართვასთან, სტრატეგიულ კომუნიკაციებთან და სხვა მომიჯნავე საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებში.

გარდა ამისა, პროფესიული ცოდნის ასამაღლებლად GDI-ს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში შემდეგი თემების ირგვლივ: უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, სექსისტური რეკლამების აღმოფხვრა, ევროსაბჭოს სტანდარტები სიძულვილის ენასთან დაკავშირებით და ა.შ.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ორგანიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანი პროცესია, რომელსაც წინ უძღვის გასული წლების საქმიანობის, ორგანიზაციის მიღწევების, ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და გარემო კონტექსტის შეფასება. ეს გვეხმარება სწორად დავსახოთ მომდევნო წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

შეფასების პროცესში, ორგანიზაციის მენეჯმენტისა და თანამშრომლების გარდა, ჩართულნი არიან გარე ექსპერტები, რაც ორგანიზაციის საქმიანობის გარედან დანახვაში გვეხმარება.

2021 წლის დეკემბერში ორგანიზაციის, „სამოქალაქო უფლებათა დამცველები" (CRD) დახმარებით განხორციელდა GDI-ს გასვლითი შეხვედრა, სადაც მოწვეული ექსპერტების ჩართულობით შეფასდა ორგანიზაციის 2020-2021 წლების საქმიანობა და შემუშავდა 2022-2025 წლების სტრატეგია და 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

სტაჟირება

GDI პერიოდულად აცხადებს ღია მიღებას სტაჟირებაზე, ვინაიდან სტაჟირება ჩვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომლის მეშვეობით აცხდება ორგანიზაციის მუდმივი განახლება და ახალი თანამშრომლების მოძიება. მოქმედ თანამშრომელთა თითქმის სრული შემადგენლობა სწორედ სტაჟირების შემდეგ შემოუერთდა ორგანიზაციას.

2021 წელს ორგანიზაციაში 11 სტაჟიორი გვყავდა, რომელთაგანაც 5 სტაჟირების გავლის შემდეგ შემოუერთდა ორგანიზაციის გუნდს.

ორგანიზაციის ფინანსები

2021 წლის ხარჯები საქმიანობის მიხედვით



წლიური შემოსავალი (ლარში) 879,390 ₾

292796 ლარი	266205 ლარი	168965 ლარი	87389 ლარი	31644 ლარი	15868 ლარი	11352 ლარი	5171 ლარი
East-West Management Institute (EWMI), PROLoG, USAID	სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)/ შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)	ღია საზოგადოების ფონდი	ევროპული დემოკრატიის ფონდი (EED)	აშშ-ის განვითარების სააგენტო USAID და საქართველოს გაეროს ასოციაცია UNAG	სამოქალაქო უფლებათა დამცველები (CRD)	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	ადამიანის უფლებათა სახლი